წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი, 2 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 474 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 474

კვირას 30 ოქტომბერს საღამოს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**მარიამ სიმონის ასული ვასილიევისა,**

რასაც გულდათუთქული ქმარი ივანე ნიკოლოზის ძე, ვაჟიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, ქალიშვილი ნადეჟდა ივანეს ასული ბუზოღლი, რძალი ნინა ქაიხოსროს ასული ვასილიევისა და სიძე ინჟენერი მიხეილ ვართანის ძე ბუზოღლი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ. პანაშვიდი ყოველდღე საკუთარ სახლში არქიელის გორაზე შუადღის თორმეტ საათზე და საღამოს ექვს საათზე. გასვენება მიცვალებულისა 3 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე. ცალკე მოწვევა არ იქნება

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

31 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა

**მარგარიტა გოტიე**

(ტრავიატა).

დრამა 6 ნაწილად ცნობილ ალექსანდრე დიუმას რომანის მიხედვით. მარგარიტას თამაშობს ეკრანის დედოფალი გამოჩენილი ლამაზი ქალი და მსახიობი ფრანჩესკა ბერტინი, არმონ დიუვალს—ჰუსტავ სერენა.

1, მარგარიტა გოტიე, 2, ძლიერი გრძნობა, 3, ქვეყანას მოშორებული, 4, მამის ვედრება, 5, გაუგებარი მსხვერპლი, 6, ცოდვის მონანიება.

სეანსების დასაწყისი 6, 8 და 10 საათზე.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან ნაჩვენები იქნება ახალი პროგრამა:

**ალიონი**

შესანიშნავი დრამა 5 ნაწილად. მოქმედება მდ. იზონცოს ნაპირებზე სწარმოებს. ბრძოლის სურათები.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

31 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა

**ქრონიკა გომონისა.**

მიმდინარე ამბებიდან

**მწვანე ობობა.**

კინო დრამა 5 ნაწილად მ. რუტცის, ფრანჩესკა ბერტონის ნ. წერეთლისა და ხახლოვის მონაწილეობით.

**სიყვარულის ციებ-ცხელება** სახუმარო სურათი

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან ნაჩვენები იქნება:

**მიმინოს ბუდე**

დრამა ცხოვრებიდან 5 ნაწილად. ლისენკოს, კარაბანოვისა, რიმსკისა და ასინოვის მონაწილეობით.

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი** ი. ჩარკვიანი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიხნოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჰილოძის შესავალი გაზ. „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედ.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანდიაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვცხო უვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ჩევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

გ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

## ავათმყოფთა საყურადღებოთ.

ვისაც თვალები სტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული, მიმართოს ქ. ქუთაისში, თეთრ ხიდ გაღმა გოშპიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში, **მიხეილ კაშიას**, რომელმაც მე მომარჩინა **ოპერაციით.**

3—1 პატივისცემით **გრიშა აბულაძე.**

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 15.

ხუთშაბათი, 3 ნოემბერი 1916 წ.

**ჯიაკომეტი**

**ივდითი**

ტრ. 5 მ. თარგმ. ი. მაჭავარიანისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ლოლობერიძე ო. ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ. ყალაბეგიშვილი ალ., ჩიკვაძე ვ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მორიგე წევრი გამგეობისა ა. წერეთელი.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 31 ოქტომბერს. გარბუზოვ-გუკალოვნეს მიდამოებში პოზიციების დათვალიერების დროს გამსკდომ ტყვიით მოკლულ იქნა ბრიგადის მმართველი უფროსი გენ. მაიორი რემეზოვი: მდ. ნარაიუვკაზე სოფ. ლიპიტა-დოლნაიასა და სვისტელნიკთან ჩვენ ზარბაზნებს ვუშენდით მტრის სანგრებს, მოწინაალმდეგე ნაღმისა და ყუმბარის მტყორცნელების სროლით გვიპასუხებდა; აქ ბრძოლა გრძელდება. მდ. ბისტრიცაზე სოფ. ბოგოროდჩანის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა მარჯვედ იმოქმედეს: ორი რიგი მავთულის ხლართებისა განვლეს, მოწინაალმდეგის სადარაჯოზე იერიში მიიტანეს და ტყვეები წამოიყვანეს. ტყიან კარპატებში დერდუმ ბრონას სამხრეთ დასავლეთით მოიერიშე მოწინაალმდეგე ხიშტებით მოვიგერიეთ და დიდად დავაზარალეთ. ხოლოსა და ტოდეშთან ბრძოლა გრძელდება.

### კავკასიის ასპარეზი.

ოსმალების შემოტევა გუიმშხანეს დასავლეთით და ყიგის სამხრეთით მოვიგერიეთ.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 30 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალი. სომმას ჩრდილოეთით ფრანგებმა დაასრულეს სოფ. საისაინზელის აღება, სოფლის აღმოსავლეთ ნაწილიდან გერმანელები ხელის ყუმბარების შეწყობით განდევნეს, ეხლა მთელი სოფელი ფრანგების ხელშია. გერმანელები ამ ბრძოლაში დიდად დაზარალდა, რადგანაც ბრძოლის ველი დახოცილ გერმანელთა გვამებითაა მოფენილი. აქამდე ჩვენ დავატყვევეთ დაუჭრელი 7 აფიცერი და 220 ჯარის კაცი და ხელთ ვიგდეთ 8 ტყვიისმფრქვეველი. დანარჩენ ასპარეზზე ჩვეულებრივ ზარბაზნების სროლის გარდა არაფერი მომხდარა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი** 31 ოქტომბერი. იტალიის ოფიციალი. ტრიენტინოში ვალარსოსა და ტერანიილოს ველის შუა მოწინაალმდეგის ჯარი და ტრანსპორტი არა ჩვეულებრივ მოძრაობაშია. ასტიკის ველზე და აზიაგოს ვაკე გორაკზე საარტილერიო სროლაა და მზვერავთა მცირე შეტაკება იულის ალპებზე კარგი ამინდის გამო ჩვენი არტილერია კარგად მოქმედებს. 309 ის სიმაღლეზე ჩვენ ვამაგრებთ პოზიციებს, სადაც 150 მილიმეტრიანი ზარბაზანი ხელთ ვიგდეთ და 200 კაცამდე დავატყვევეთ.

### რუმინიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 31 ოქტომბერი. ტრანსილვანია. მდ. ოიტუზას ველზე მოწინაალმდეგე შეტევაზე გადავიდა და რუმინელებს უკან დაახევინა. სამაგიეროდ ამ ველის სამხრეთით და ჩრდილოეთით რუმინელებმაც შეტევა იწყეს და რამდენიმე სიმაღლე დაიპყრეს. რუმინეთის კიმპოლუნგის მიდამოებში, ორშოვასთან მდ. ჟიუს ველზე მოწინაალმდეგეს მკაცრი იერიშები მოაქვს და აქ ბრძოლა გრძელდება. დობრუჯა. მარცხენა ფრთაზე ჩვენმა ჯარმა რამდენადმე სამხრეთით წინ წაიწია

### გერმანელთა ნაღმოსნები ფინის ყურეში..

**პეტროგრადი.** 31 ოქტომბერი. ბალტიის ზღვა. 28—29 ოქტომბრის ღამეს თანამედროვე, 36 კვანძიანი ნაღმოსანთა ფლოტილია ფინის ყურეში შემოიჭრა. ნისლის გამო დროზედ ვერ შევნიშნეთ ეს; ამიტომ მოწინაალმდეგემ რამდენიმე წამის განმავლობაში ბალტიის ნავთსადგურს ასამდე ყუმბარა ესროლა: ყუმბარები უმეტეს ნაწილად შრაპნელისა იყო. მოკლულია 7 მცხოვრები, ამათში 5 ბავშვია, და ორი ჯარის კაცი, დაჭრილია ერთი ქალი და ოთხი ჯარის კაცი, რამდენიმე სახლი დაზიანებულია და მოკლულია 12 ცხენი. მტერმა აჩქარებით უკან დაიხია და ნაღმოსანთა უმეტესი ნაწილი დავლუპეთ. შემდეგ ნაღმოსნების დევნას თავი გავანებეთ, რადგანაც ნისლი იდგა ზღვაზე და დროით შევნიშნეთ მტრის ნაღმები. ჩვენ ზარალი არ გვინახავს.

შავიზღვა. ბოსფორთან ჩვენმა წყალქვეშამ გაანადგურა ერთი გემი, რომელიც შემდეგ ნაპირზე გაირიყა. იმავე წყალქვეშამ ჩასძირა ერთი იალქნიანი შხუნა და მეორე სევასტოპოლში მოიყვანა.

### მაკედონიის ასპარეზი.

**სოლუნი.** 29 ოქტომბერი. სერბეთის ოფიციალი. 29 ოქტომბერის ღამეს ახალი ძალების დახმარებით ბულგარელებმა ჩუკუს შეუტიეს, ჩვენმა მამაცმა ჯარმა მტერი კონტრიერიშებით მოიგერია; ჩრდილოეთით წინსვლა გინვაგრძეთ და უწესრიგოდ უკუ ქცეული მტერი ვსდევნეთ, მთელი სოფელი ჩვენ ავიღეთ. ჩვენ დავატყვევეთ 1000 კაცი, რომელთაგან უმრავლესობა გერმანელებია, ხელთ ვიგდეთ 8 ზარბაზანი ბევრი ტყვიის მფრქვეველი და მრავალი სხვა სურსათი. 1 ოქტომბრიდან ბულგალერებს სულ 50 ზარბაზანი წავართვით სასანგრო ზარბანებს სათვალავში არ ვაგდებთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

დაპყრობილ სერბეთიდან ყველა სერბიელს 15 წლიანებიდან მოყოლებული სულ ავსტრიაში ასახლებენ.

— —

ფრანგების მიერ ფორტების, ვოსა და დუომონის აღების შესახებ ოფიციალურად ის აზრი გამოითქვა, რომ ეს დიდი გამარჯვება იყო მოკავშირეების ეხლაგენ. ვერო ერთ ფრანგულ გაზეთში სწერს: გერმანელებმა ადვილად დაგვითმეს ეს ფორტები. შეიძლება, რომ გერმანელებს ჩვენი წინ გატყუება უნდათ, რომ მერე უფრო მძლავრად შემოგვიტიონო.

— —

ნეიტრალურ გაზეთების ერთ თანამშრომელი სწერს, რომ გერმანელთა გამაგრებული სანგრები ბევრად ძლიერნი არიან, ვიდრე შარშანდელი სიმაგრეებიო.

— —

რადგანაც მოკავშირეთა ნოტა სუბუქი ფლოტის მათდამი გადაცემის შესახებ საბერძნეთის მთავრობამ არ შეიწყნარა, ამიტომ მოკავშირეთა ფლოტის უფროსმა, ადმირალმა ფურნემ საბერძნეთის ყველა სუბუქ გემზე მოკავშირეთა ბაირაღი ააფრიალა.

ერთმა ბერძნულმა გაზეთმა გამოაქვეყნა დეპუტატ კალიმასუტის საიდუმლო წერილი, რომლიდანაც სჩანს რომ საბერძნეთი სანაპიროებზე ჯერ კიდევ ბევრ ალაგას ყოფილა გამართული გერმანულ წყალქვეშათა ნავთსადგური.

— —

ამას წინად დაატუსაღეს ათი ბერძენი აფიცერი, რომლებიც ვენიზელოსის ჯართან შესაერთებლად სალონიკში მიდიოდნენ. ეს აფიცრები ყველა მაშინვე ციხეში ჩაუმწყვდევიათ და ისე უცემიათ, რომ ერთ მათგანს სული ველარ მოუბრუნებია.

— —

ამერიკაში რამდენიმე რაზმი შესდგა ბერძენთაგან, რომლებიც საბერძნეთში მიემგზავრებიან ვენიზელოსის ჯართან შესაერთებლად.

— —

ინგლისის მრავალ სასწავლებელში გერმანული ენის მაგივრად რუსული ენის სწავლება შემოუღიათ.

— —

როგორც ვენიდან იტყობინებიან, ავსტრიის ელჩი ამერიკაში დუმბა თანამდებობიდან დაუთხოვნიათ. ეს ზომა ეჭვი არ არის გამოწვეულია იმ უტაქტიკობით, რომელიც შტატების პრეზიდენტთან მოლაპარაკების დროს გამოიჩინა და ვერ შესძლო სათანადოთ დაეფარა ის, რაც არ უნდა სცოდნოდათ ამერიკელებს.

— —

მიუხედავათ იმისა რომ ინგლისელებმა ყოველი ღონის ძიება იხმარეს გერმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდ. ნარაიუვკაზე ლიპიცა დოლნაიასა და სვისტოლნიკის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. მდ. ბისტრიცაზე მზვერავთა მოქმედებაა. დემბრონაისთან რუსებმა ავსტრიელთა იერიშები მოიგერიეს.

**კავკასიის ასპარეზი.** გუმიშხანეს დასავლეთით და ყიგის სამხრეთით რუსებმა ოსმალები მოიგერიეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** ფრანგებმა სოფ. საისაინზელის დაპყრობა დაასრულეს. დანარჩენ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**იტალიის ასპარეზი.** საარტილერიო ბრძოლები სწარმოებს.

**რუმინიის ასპარეზი.** ოიტუზას ველზე ავსტრიელებმა რუმინელებს უკან დაახევინეს, ხოლო ამ ველის ახლომახლო რუმინელები უტევენ. კიმპოლუნგთან, ჟიუს ველზე და ორშოვასთან ბრძოლა სწარმოებს. დობრუჯაში რუსებმა წინ წაიწიეს.

**მაკედონიის ასპარეზი.** სოფ. ჩუკუზე ბულგარელებმა იერიში მოიტანეს მაგრამ სერბიელებმა მოიგერიეს და ბულგარელები განდევნეს.

---

თის სავაჭრო წყალქვეშა, „დოიჩლანდის" დასაჭერად, დღემდე ეს ვერ შესძლეს; ამას ერთი ამერიკული გაზეთი იმითა ხსნის, რომ ამერიკის წყალ-ქვეშებიც დიან შტატების სანაპიროებთან და ამიტომ, ეშინიათ, ვაი თუ, ამერიკის წყალქვეშა მოყვესო.

— —

დაპყრობილ პოლონეთის გენერალ გუბერნატორებმა ბეზელერმა და კუკმა უკვე დაიწყეს პოლონელთა შორის მოხალისეთა მოკრება.

— —

პოლონეთის დამოუკიდებლობის შესახებ იტალიური ,,კორეს დელა სერა" სწერს: გერმანიამ იმიტომ მისცა პოლონეთს დამოუკიდებლობა, რომ იქიდან გაყვანილ ჯარის შემწეობით სიკვდილს თავი გადაარჩინოს; მაგრამ გერმანიას ვერას უშველის პოლონეთი, რომელსაც თავის არც მეფე ეყოლება, არც თავის საზღვრები ექნება, არც სამშობლოსადმი სიყვარულით გამსჭვალული ჯარი მოეპოვება და არც ისეთი პირები მოეძებნება, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევდნენ პოლონელებსაო.

— —

შვეიცარიის პოლონლები იმ აზრისანი არიან, რომ გერმანია პოლონეთში თავის მიზანს ვერ მიაღწევს და საჭირო ჯარს ვერ შეკრებს.

— —

დობრუჯაში რუსებისა და რუმინელების უკან დახევის შესახებ გენ. ბრუსილოვს უთქვამს; ეს სამწუხარო ეპიზოდია, რომელსაც არავითარი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა არა აქვსო.

— —

ინგლისელები ზარბაზნებისა და ტყვია წამლის დამზადებაში დიდ წარმატებას აჩენენ და, როგორც მოკავშირეთა პრესა ირწმუნება, ამ დარგში მათ გერმანელებისათვისაც კი უჯობნებიათ. სამხედრო ქარხნებში მუშები დღეში 12 საათს მუშაობენ.

— —

ინგლისში დაარსებულა ახალი რუსულ-ინგლისური საზოგადოება, რომელსაც მიზნათ დაუსახავს ამ ორი სახელმწიფოს ერთ ნაირ წრეების დაახლოვება. ხსენებული საზოგადოება ამ აზრით რუსეთში განსაკუთრებულ კომისიას გზავნის.

## ქართული პრესა.

ნათქვამია ციხე შიგნიდან გატყდებაო, და ყოველგვარ ქართულ საქმესაც ყოველთვის შინიდან უფრო მოელის ხოლმე საფრთხე. იმ დროს როდესაც მთელი სიფ-საქართველო ჭიათურის გაყიდულ მამულების უკან დაბრუნებას ჰფიქრობს, ვიღაც გიორგი ცერცვაძე შუამავლობას ეწევა თურმე და ჭიათურის რაიონში გლეხებს უცხოელებზე აყიდვინებს თურმე მამულებს ამის გამო გაზეთი „საქართველო" სამართლიანად სწერს:

„მთელი ჩვენი ყურადღება დღეს ჭიათურისაკენ არის მიქცეული, რომ უცხოელთა თანდათნობითის დასუსტებით, ვაძლიეროთ, ეროვნული მრეწველობა. ყოველ ქართველის ვალია მისგან შესაძლები საშუალება იღონოს ამ საქმის სასარგებლოდ, რადგან ჭიათურაში ქართულ მრეწველობის განვითარება წმინდა ეროვნული საქმეა.

ამის წინააღმდეგ მოქმედება უაღრესი ეროვნული დანაშაულია, ყველას მიერ დასაგმობი და გასაკიცხი. ჭიათურელ კორესპონდენტის ცნობა გულს უწვავს ყველა საქართველოს კეთილდღეობის მოხარულს. ამ დროს უცხოელთათვის მიყიდვა მამულებისა წარმოუდგენელი ბოროტებაა, და ვინც ამას ხელს უწყობს, განდევნილ უნდა იქმნას ჩვენი საზოგადოებისაგან, დაგმობილ-გაკიცხული. მოხეტიალე ჩარჩი- კომისიონერებისათვის, რასაკვირველია, ძლიერ ხელსაყრელია და ადვილიც მარგანეცის ფასების და მდგომარეობის უცოდინარ მემამულეთა მოტყუება, მაგრამ მამულების ქართველ პატრონთ ეროვნული ინტერესი უნდა აიძულებდეს არ ჩაიდინონ ასეთი ბოროტება! ბატონი ცერცვაძეს, აგერ ათი წელიწადია, უცხოელი კაპიტალისტები მოჰყავს და მისი მეოხებით შავ ქვიანი მამულები ქართველთა ხელიდან მიდის.

რგანსა, პერევისასა მუხრეთსა დარკვეთსა და ღვიმეში მან ბევრი მამული ჩალის ფასებში გამოსტყუა ქართველებს და თავისათვის ხელსაყრელ სარგებლით უცხოელთ მიჰყიდა. ასეთს მოღვაწეობას ჩვეულს, მადა გაჰშლია და დღეს საუკეთესო მამულების გაყიდვა დაუწყია უფრო ფართო მასშტაბით. კორესპონდენტის სიტყვით, გაყიდულ მამულთა რაოდენობა, თითქმის „ჰელზენკირხნერის" და „კავკასიის სამთამადნო" ამხანაგობას უდრის. ეს ბოროტება საქართველოს შუა გულში ხდება და ყურადღებას არავინ აქცევს. საკვირველია, რატომ შავი ქვის საბჭომ არ ამოიღო ხმა? თუ უფლება და საშუალება არა აქვს წინააღმდეგობისა ამ ამბის გახმაურება ხომ შეეძლო?

თუ უცხოელთა მამულების შენარჩუნებაზედ ამდენ ენერგიას ვხარჯავთ, ნუ თუ ვერ ვილონდებით, რომ ჩვენივე კუთვნილი ვიგინდარების მეოხებით ხელიდან არ გაგვცლოდა. თუ ჯერ კიდევ გვიან არ არის, ყოველი ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ ქართველნი მემამულენი შეცდომის გზას ავაშოროთ.

მათთვისაც ხელსაყრელია ცოტა ხნით გადადება გაყიდვისა, რადგან, როგორც კი შავი ზღვა გაიხსნება და ჭიათურიდან მარგანეცის გაზიდვა დაიწყება, მიწის ფასები საოცრათ აიწევს, და თუ ქართველი კაპიტალისტები ველარ მოახერხებენ ამ მამულების შეძენას, ყოველ შემთხვევაში, უფრო ხელსაყრელ პირობებში გაყიდიან და ის სარგებელი, ახლა ბატონ ცერცვაძეს რომ ამდიდრებს, მათვე დარჩებათ. სალიკვიდაციო მამულების საკითხი ახლოა გადასაწყვეტათ და იქნებ თვით ამ წარმოების ქართველმა პატრონებმა შეიძინონ ხოლო დღეს უცხოელთათვის გადაცემა ძროხის კუდზე დანის გატეხას ნიშნავს. ნუ იქმნების ესე!".

# ახალი ამბავი.

ახალი ჯარის კაცების გაწვევა. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალით 1917 წლის დამდეგს სალდათებად გაიწვევენ იმ ახალგაზდებს რომლებიც დაიბადენ 1898 წელს. დრო გაწვევის ცალკე იქნება გამოცხადებული.

თანახმად უმაღლესი ბრძანებისა გაიწვევენ სამხედრო სამსახურში ყველას გან-ურჩევლად ოჯახური მდგომარეობისა, ხოლო ვისაც მიეცემა 1 ხარისხის შეღავათი, იმას ჩარიცხავენ მეორე ხარისხის მოლაშქრედ. ის პირნი, რომლებიც მსახურობენ სახელმწიფოს დაცვის დაწესებულებებში და მუშაობენ სახელმწიფოს საჭიროებისათვის, განთავისუფლებულნი იქნებიან ჯარში გაწვევისაგან, თუ სამსახურში შესულნი არიან ამ უმაღლესის ბრძანების გამოცემამდე. სტუდენტებს და მოწაფეებს დაადლიან სწავლის დამთავრებას.

✦ სამიწათმოქმედო დეპარტამენტის სპეციალისტი თავადი ს. ნაკაშიძე აცნობებს დასავლეთ საქართველოს აგრონომს ა. მ. ვასილევსკის რომ ამ ჟამად სამეგრელოში არსებობს და მოქმედობს 70 ჩაის სანერგე, ამათში 12 სამაგალითო საცდელი სანერგეა და იმყოფება სამიწადმოქმედო დეპარტამენტის განკარგულებაში.

✦ დასავლეთ საქართველოს აგრონომი, დროებით აღმსრულებელი საეროზო აგრონომის თანამდებობის ა. მ. ვასილევსკი რომელიც ბათუმის ოლქში აგრონომიული დაწესებულებების სარევიზიოთ იყო წასული 1 ნოემბერს დაბრუნდა ქუთაისში და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საეროზო აგრონომიულმა ორგანიზაციამ, საკუთარ მინდვრებში დასათესად გურიიდან გამოიწერა დაფნის კაკალი.

✦ სამეგრელოდან ჩამოვიდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ლ. შურგაია და ინახულა მთავრობის აგრონომი ა. მ. ვასილევსკი. შურგაიას მასთან ბაასი ჰქონდა სამეგრელოში სამეურნეო პრაქტიკული შკოლის დაარსების შესახებ, მთავრობის აგრონომმა შურგაიას სამეურნეო პრაქტიკული შკოლის დაარსების საქმეში დახმარება აღუთქვა.

✦ ქალაქის სასანიტარო ექიმი თხოვნით მიმართავს პოლიცმეისტერს, რომ ამიერიდან შეშით მოვაჭრე მეურმეებს ბაზარში ვაჭრობა აუკრძალოს რადგან მეურმეები ქუჩებს აბინძურებენ. ექიმის სიტყვით მეურმეებისათვის მიჩენილი ჰქონია ქალაქს შესაფერი ადგილი ბალახვანის ქუჩაზე, ეპარქიალურ სასწავლებლის [illegible]ძის მინდორზე.

✦ ქალაქის გამგეობის მიერ, ახლად მოწვეულმა ბაქტერიოლოგმა ფარცვანიძემ უკვე გაუკეთა ჰის წყლებს ანალიზი, რომლებშიაც ხოლერის ვიბრიონები არ აღმოჩნდა.

✦ მეფის ნაცვლის საბჭომ ნება დართო ვ. ქლენტს, ს. ბიცაძეს და ნ. სალირაშვილს მოახდინონ შავი ქვის მადნების გამოკვლევა დასამუშავებლად, შორაპნის მაზრის, ს. რგანში.

✦ მომხმარებელმა საზ. „კოოპერაციამ", თბილისში არსებულ ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირისაგან უკვე მიიღო 25 ყუთი ასანთი.

✦ 30 ოქტომბერს, სასტუმრო „იალტაში" ჩხუბის დროს პრაპორშჩიკმა ფირალოვმა თავში მძიმეთ დასჭრა ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის მოხელე დ. გოგიბერიძე.

✦ კვირას, 30 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა ახლათ დაარსებულ ვაჭართა საზოგადოების კრება, რომელზედაც აირჩიეს მამასახლისად ვ. მახარაძე ხოლო მის თანაშემწეთ მ. ფიჩხაძე.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ხელახლა აცნობებს, სადგურების უფროსებს, რომ მიუხედავათ მისი წინანდელი განკარგულებისა, რომლითაც უფროსებს აიძულებდა, რომ მათ ფხიზელი თვალ-ყური ედევნებიათ, რათა არ დაკარგულიყო ახალი ამერიკული ვაგონების ავტომატიური ტორმუზები, მაგრამ მაინც იკარგება,—ამიერიდან მიიღონ ენერგიული ზომები, არ განმეორდეს ასეთი ბოროტ-მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე სასტიკათ დაისჯებიან.

✦ ქალაქის სასანიტარო კომისიამ ორპირის ქუჩაზე მცხოვრებ ი. გერგეშიძეს სანიტარული წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა.

— —

### სოფლად და ქალაქად.

სამურზაყანოში არსდება წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება.

— ოზურგეთში შაქარი აღარ იშოვება, ვაჭრები „თავის მუშტრებისათვის" გირვანქას 40 კ.-50 კ. ჰყიდიან.

— გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის ხმოსანთა არჩევნები.

— სოფელ ნაცუღიკოუში (ზუგ. მაზრა) 16 ოქტომბერს ორი შეიარაღებული ავაზაკი სახლში შეუვარდა ეგნატე ქკადუას, წაართვა ფულიან ნივთებიანათ 355 მ. და მიიმალა.

— სოფ. ზონზირში (სენ. მაზრა) 19 ოქტომბერს ხუთი შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხენ ამავე სოფლის მცხოვ-

---

## აგერ მეგლი სდგას.

### (თარგმანი.)

აგერ ძეგლი სდგას!

გარჩუმდ გაშლილა მინდორი—არსად სადგომი არ სჩანს, მხოლოდ ძველი მუხა ამ ერუ სიჩუმეში დახრილა კლდის ჯავარიან ქვაზე.

ვინ დაიკავა აქ პირველათ ადგილი?

ნაცრის ფერი ჯავარიანი ქვა მუხის ჩრდილში დამყარებულა, თუ ობოლ საფლავზე საფლავზე დავიწყებული რკო ამოვიდა და ბუმბერაზ ხეთ იქცა?

სდუმს ძეგლი!

არსად სჩანს წარწერა, დროს მაჩვენებელი, შეიძლება კიდეც იყო იგი, მაგრამ მარადის ყოფნას წაუშლია?

საიდგანაა მოტანილი ეს უზარ-მაზარი ქვა, რა ღონით არის მოტანილი ამ ადგილას და ან ვისმა ხელმა გათალა ასე ლამაზათ?

ნეტავ ვინ განისვენებს ამ სიმძიმის ქვეშ? როგორ სჩანს ხალხისაგან დავიწყებული!

იყო თუ არა როდისმე ეს მინდორი ასე, ან შეიძლება აქ ოდესღაც ლამაზი ქალი იყო და სიცოცხლე სდუღდა?

სდუმს პირ-ქუშად მინდორი და არ სურს საიდუმლოება ამხილოს.

სდუმს ძლიერი მუხა, შესაძლოა რომ თვითონაც არ იცის ის საიდუმლოება, რომელიც აქ სუფევს; მხოლოდ ჩქარი მოჩუხჩუხე ნაკადული, რომელიც ბალახებში ოდნავ სჩანს, [?]ვიმღერის ლექსებს წარსულისას, მაგრამ [?]ი სიმღერა არავის ესმის.

აგერ ძეგლი სდგას!

მაგრამ ვისია, როდის და ვისგან დადგმულა.

თამარ მესხის-ასული.

---

## მსოფლიოს ერთობა.

**არაორგანიული ბუნების ერთობა.**

(იხ. „სამშობლო" № 469)

პერიოდული სისტემის მესამე მწკრივის პირველი ელემენტია რუბიდი (ატომის წონა 85,4), მეორე—სტრონცი (ატომის წონა 87,6) შემდეგ თან-მიედევნებიან სხვა ელემენტები, რომელთა შორისაც სხვათა შორის არიან პალადი (ატომის წონა 106,5), ვერცხლი (ატომის წონა 108), კადმი (ატომის წონა 112,4), ტყვია (ატომის წონა 119), სტიბი (ატომის წონა 120), ტელური (ატომის წონა 127,6) და იოდი (ატომის წონა 126,9).

ამ მწკრივში პირველი და მეორე ლითონები ძლიერი სიტუტის-მქნელი ლითონეში არიან, უკანასკნელი ელემენტთაგანი ტელური მეტალოიდია, იოდი გალოიდია, მათ შორის მდებარე ელემენტებზე კი იგივე ითქმის, რაც მესამე მწკრივში მათ პირდაპირ მდებარე ელემენტებზე.

მეხუთე მწკრივში პირველი ელემენტები არიან ცეზი (ატომის წონა 133) და ბარი (ატომის წონა 137,4), შემდეგ აღნიშნულია კიდევ თანმიდევნებით სამი ლითონი. ეს, მაშასადამე, მოკლე მწკრივია და მეოთხე მწკრივის ბევრ ელემენტს ამ მწკრივში თანშესაბამი ელემენტები არ უზიან პირდაპირ.

მეექვსე მწკრივში გამოკლებული არიან, როგორც ძლიერი სიტუტის-მქნელი, აგრეთვე ძლიერი სიმჟავის-მქნელი ელემენტები. მაშასადამე, არ არიან ელემენტები ცეზისა და ბარის პირდაპირ, ტელურისა და იოდის პირდაპირ, არ არის ელემენტი აგრეთვე მანგანუმის პირდაპირ (მის პირდაპირ არც მეოთხე მწკრივში ზის ელემენტი). ამ მწკრივში არიან სხვათა შორის: ოსმი (რკინის პირდაპირ, რკინა მესამე მწკრივშია), რომლის ატომის წონა=191, პლატინა (ნიკელის პირდაპირ), რომლის ატომის წონა=195, ოქრო (სპილენძისა და ვერცხლის პირდაპირ), რომლის ატომის წონა=200, ვერცხლის წყალი (მაგნის, ცინკისა და კადმის პირდაპირ), რომლის ატომის წონა=200, და ტყვია (მისი ატომის წონა=207), რომელიც მდებარეობს ნახშირდედის, კაჟისდედის და კალის პირდაპირ.

დასასრულ მეშვიდე მწკრივში მხოლოდ სამი ელემენტია აღნიშნული, ერთია რადი (მისი ატომის წონა=225), მდებარე ბარის პირდაპირ, მეორე ზის ტანტალის პირდაპირ და მესამე (ურანი, რომლის ატომის წონა უდრის 238,5) ქრომის პირდაპირ.

ხსენებული მწკრივები რომ ერთმანეთის ქვეშ დავალაგოთ, აღმოვაჩენთ შემდეგ კანონს. ერთმანეთის ქვეშ მდებარე ელემენტები ქიმიურად ერთმანეთს ემსგავსებიან. მაგალითად, პირველი ელემენტები—ლიტი, ნატრი, კალი, რუბიდი, ცეზი—ძლიერი სიტუტის-მქნელი ელემენტები არიან, თვითეული მათგანის ერთი ატომი რომელსამე სიმჟავეში წყალდედის ერთხ ატომს იჭერს, ე. ი. ერთ-ღირებულებიანი, ანუ ერთვალენტიანია, და სხ. იმავე დროს ზევით მდებარე ელემენტი ლიტი ქიმიურად მის ქვეშ მდებარე ნატრიზე უფრო ენერგიულია, ნატრი—კალიზე, კალი—რუბიდიზე, რუბიდი—ცეზიზე, ერთი სიტყვით, ელემენტების ქიმიური ენერგია ზევიდან ქვეითკენ თანდათან კლებულობს.

იგივე ითქმება მწკრივთა სხვა ელემენტებზედაც. ავიღოთ, მაგალითად, მეორე ელემენტები: კალცი, სტრონცი, ბარი, რადი. პირველი ელემენტების შემდეგ ისინი ყველა სხვა ელემენტზე უფრო ძლიერ სიტუტეებსა ქმნიან. მეორე მხრით, თვითეული მათგანი იჭერს სხვადასხვა სიმჟავეში წყალდედის ორი ატომის ადგილს. მაგალითად, გოგირდის სიმჟავის ფორმულა შესდგება წყალდედის ორი ატომისა, გოგირდის ერთი ატომისა და ჟანგდედის ოთხი ატომისაგან ($H_2SO_4$); გოგირდის სიმჟავის კალცი (გიპსი) კი შესდგება კალცის ერთი ატომისა, გოგირდის ერთი ატომისა და ჟანგდედის ოთხი ატომისაგან ($CaSO_4$); მაშასადამე, კალცი იჭერს გოგირდის სიმჟავეში წყალდედის ორი ატომის ადგილს. მეორე მაგალითი: მაშინ, როდესაც ხაშური მარილი შესდგება ნატრის ერთი ატომისა და ქლორის ერთი ატომისაგან, ქლორის კალცი შესდგება კალცის ერთი ატომისა და ქლორის ორი ატომისაგან. ერთი სიტყვით, ქლორის კალცის ერთი მოლეკულა იშობება მარილის სიმჟავის ორი მოლეკულისაგან წყალდედის ორი ატომის ადგილის კალცის მიერ დაჭერით ($4\ Hchl + Ca_2 = 2\ cachl_2 + 2H_2$). აგრეთვე $Cao$ (კალცის ჟანგი)$+H_2O = Ca\ (HO)_2$. ნატრის სიტუტე კი ამგვარად წარმოსდგება: $Na_2O + H_2O = 2\ Na\ H0$.

ერთი სიტყვით. კალცის, სტრონცის და ბარის ატომები ორღირებულებიანი, ანუ ორვალენტური არიან. რადის შესახებ იციან, რომ ენერგიულად შლის წყალსა და იხსნება წყალში, მაგრამ მისი ყველა თვისება, როგორც ელემენტის, ჯერ კარგად გამოკვლეული არ არის.

მეორე მხრით, კალციდან ბარიმდის სიტუტის-მქნელი ძალი თანდათან კლებულობს.

განვიხილოთ ყველა მწკრივის სულ უკანასკნელი ელემენტები: ფტორი, ქლორი, ბრომი და იოდი (სამს ქვედა მწკრივში არ არიან ეს ელემენტები). ისინი—გალოიდები არიან. მათი შეერთებანი წყალდედასთან წარმოადგენენ: ფტორის წყალდედას, ქლორის წყალდედას, ბრომის წყალდედასა და იოდის წყალდედას, რომელთა

რებით: ბურდღუ ხუნცარიას, იაკობ შულაიას, მატრონა შულაიას, სიკო ჩიტაიას კოწია ქვანიას და მატრონა ხუნცარიას, წაართვეს პირველს 90 მ., მეორეს 10 მ., მესამეს 300 მ მეოთხეს ფული არ აღმოაჩნდა, რომელსაც ვალი დაუდვეს, ორი კვირა, რომლის განმავლობაში უნდა იშოვნოს 200 მ., მეხუთეს წაართვეს 90 მ., მეექვსეს 30 მ. და არხეინად გაუდგენ გზას.

— სოფ. კეტილარში (სენაკის მაზრა) 21 ოქტომბერს, 5 შეიარაღებული ავაზაკები სახლში შეუცვივდენ ამავე სოფლის გლეხ სამსონ ჩაგანავას, წაართვეს 1165 მ. ფულით და სხვადასხვა ნივთები 308 მ. ღირებული. ქურდები მიიმალენ.

— სოფ. რუფოთში (შორაპ. მაზრა) 21 ოქტომბერს, ორმა შეიარაღებულმა ავაზაკმა სახლიდან გამოიხმეს რაჟდენ გოგიაშვილი და მოსთხოვეს ფული, როდესაც მათ უარი მიიღეს, შეუბრალებლათ სცემეს გლეხს, წაართვეს 121 მანეთი და მიიმალენ.

— სოფ. ხიბულაში (ზუგ. მაზრა) 16 ოქტომბერს, 2 შეიარაღებული ავაზაკი თავს დაესხა მეწაღე ესტატე გოგუას, წაართვა 30 მ ფულით, 33 მ. ღირებული რევოლვერი, წაღები 182 მ. და 50 კ. და მიიმალა.

## თბილისი

— ღვინის მოსავალი. მევენახეობისა და მეღვინეობის მთავარ ინსტრუქტორმა ივ. ო. იოსელიანმა წარუდგინა თბ. გუბერნიის კომიტეტს ცნობები წლევანდელ ღვინის მოსავლის შესახებ თვისდამი რწმუნებულ თბ. მაზრაში. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს ღვინის შუათანა მოსავალი 1 დესეტინაზე, ე. ი. ორ დღიურზე არ აღემატება 150—200 ვედროს. მიზეზი ამ მცირე მოსავლისა ყოფილა დაგვიანებული წამლობა, რის გამო ნაცარმა დიდი ზარალი მიაყენა ვენახებს. გარდა ამისა მოუსავლობას ხელი შეუწყო სეტყვამ და ქარიშხლებმაც, ზოგ ადგილებში,

— სამხატვრო საღამო. ქარ. ხელოვანთა საზოგადოების გამგეობა ყველიერში მართავს დიდ სამხატვრო საღამოს თვის თანხათა გასაძლიერებლათ. საღამოზე დადგმული იქნება „ყეენობა“.

— გ. დ. ჟურული საქართველოს ექსარხოსს წარუდგება ამ დღეებში და ქართველ ხელოვანთა საზოგადების მხრივ იშუამდგომლებს, რომ სასულიერო უწყებამ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ამ საზოგადოებას ყველა მონასტრების და ტაძრების ფრესკების გადაღების საქმეში, ვინაიდან ჟამთა ვითარების გამო ამ ფრესკების მხატვრობა უკვე ჰქრება ამ ნაშთებში, როგორც მაგალითად, ის სურათები, რომელიც საბედნიეროთ პატივცემულ პროფ. ჯავახიშვილს გადაუღია ნაბახტევში 12 წლის წინად, დღეს უკვე წარიხოცა მის კედლებიდან.

— თესლების შეძენა. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ განიზრახა ბოსტნის სხვა და სხვა თესლეული გამოიწეროს ამერიკიდან და ამ საქმეში დახმარება სთხოვა თბილისში მყოფ ამერიკის კონსულს. ეს უკანასკნელი თხოვნას დიდის სიამოვნებით მიეკება და აღნიშნულ საზოგადოების საბჭოს მოსწერა, რომ სათესლე მასალას მოვსთხოვ ამერიკელ ფირმებსო.

— მესამე სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერა უკვე გაიმართა. გამოიცა ხალხში დასარიგებლად მრავალი მოწოდება და ბროშურა. როგორც ამ ბროშურიდან სჩანს რუსეთს დღეში ეს ომი უჯდება 35 მილიონი მანეთი, ხოლო 1 თვეში ერთ მილიარდზე მეტი, ბროშურაშივე სწერია, რომ მშვიდობიან დროს რუსეთის წლიური ხარჯი უდრის 3 მილიარდზე ცოტა მეტს, ასე რომ დღეს სამი თვის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფოს უჯდება იმდენი ფული, რაც მშვიდობიან დროს მთელი წლის განმავლობაშიო.

# სოფლის მასწავლებელი

**ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილი**

(30 წ. ს. მასწავ. სამსახურის შესრულების გამო)

სოფლის მასწავლებლობა უკეთილშობილესი, მაგრამ უმადური ხელობაა, ნარეკლითაა მოფენილი. ნივთიერ სიღარიბესთან ზნეობრივი დამცირება სულს უხუთავს სოფლის მასწავლებელს. არამც თუ სოფლის შეუგნებელი მასა დიდ კაცად არ ხდის მას, შეგნებული, საზოგადოებაც ტუჩს უბზუებს და თუმცა აშკარად არა, მაგრამ თავის გულში მაინც „პატარა კაცს“ ეძახის.

ყოველივე ამას შეგნებული სოფლის მასწავლებელი ძრიელ კარგათ გრძნობს და სულიერად იტანჯება და თავის გულს ასკდება. დაღონებული ფიქრობს იგი სოფლის მასას თუ შეუგნებლობით მოსდის მისი არა რად ჩაგდება, შეგნებული საზოგადოება მაინც რისთვის აძლევს მათ ბანს. ასეთი კითხვები არა ერთხელ წარმოუდგება მას თვალ წინ, მაგრამ ჯერ ჯერობით კიდევ უძლურად გრძობს იგი თავის თავს და ამ გვარ გამეფებულ უკანონო შეხედულობას ემორჩილება და ქედ მოხრილი ეწევა თავის მძიმე ჰაპანს. მართალია ამ ბოლო დროს თან და თან იკაფავს სოფლის მასწავლებელი გზას და სამოქალაქო უფლებებით იმოსება, მაგრამ ასეთი წარმატება მათ ცხოვრებაში ძრიელ ზანტათ ხდება და კუს ნაბიჯით მიდის წინ. ასე, რომ, ამ გვარი სიარულით, კაიბიჭობა იქნება, კიდევ [illegible]ას წელიწადს თუ მიაღწიეს აღთქმის ქვეყანას. ჩვენი სოფლის მასწავლებელთა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარმა უმადურმა და დუხჭირმა ცხოვრებამ მათ გული ვერ გაუტეხა და ბევრი მათგანი ოცი და ოცდა ათი წელიწადი ატარებს მასწავლობლობის მძიმე უღელს.

ერთი ასეთი საუკეთესო მასწავლებელთაგანი არის თაბუკაშვილი, რომელსაც ამა წლის ენკენისთვეში ოცდა ათი წელიწადი შესრულდა.

თაბუკაშვილმა 1886 წ. ერთ საუკეთესო მოწაფეთ დაასრულა ხონის საოსტატო სემინარია და კურსის დასრულების შემდეგ გურიაში, ძიმითის სამინისტრო სკოლაში იქმნა გამწესებული მასწავლებლად. შავირცხლმა ძიმითლებმა ღირსეულად დააფასეს ახალ გაზდა სემინარიელი, გული გაუღეს მის მოღვაწეობას და ახალ გაზრდა მასწავლებელს ხელი შეუწყვეს.

დიდ ხანს არ დარჩენილა ბ. თაბუკაშვილი ძიმითის სკოლაში, მაგრამ მისი ნაყოფიერი მუშაობა დღესაც ბევრს ახსოვს იქ.

ძიმითიდან თაბუკაშვილი სამშობლოს სოფელს დაუხლოვეს და ხარაგაულის სამინისტრო სკოლაში გადმოიყვანეს.

ხარაგაულის სკოლა ამ დროს ერთად ერთი სასწავლებელი იყო ზესტაფონიდან დაწყებული თვით სურამის მთების ქედამდის, აქ ფართო ასპარეზი გაეხსნა თაბუკაშვილის მოღვაწეობას. შორაპნის მაზრის ამ მივარდნილ და შავი მთებით დაბურულ კუთხეს პირველ განმანათლებელ პიონერად მოევლინა ეს გულკეთილი და კაცთმოყვარე ადამიანი. მან ნათლად წარმოიდგინა და გაითვალისწინა თავის მოძმეების გონებრივი სიკოტრე და სიშიშვლე და ერთგულად შეუდგა მათ დახმარებას, არ დაჯერდა იმას, რომ ხარაგოულის სავაჟო ერთ კლასიანი სკოლა გააფართოვა და გაადიდა, საქალებო სასწავლებელს საძირკველი ჩაუყარა და დიდების გამოღვიძებას შეუდგა, რომლებიც სიხარულით დაიარებოდენ მასთან სადამოობით და კვირა უქმე დღეებში.

გარდა ამისა მან ყოველ წლობით და იწყო სისტემატიურად თავის სკოლიდან საუკეთესო მოწაფეების ხონის სემინარიაში გზავნა. ასეთ მოწაფეებს ხშირად თავის ხარჯით ჩაიყვანდა ხოლმე ხონში, მიაღებინებდა და მერე დაუბრუნდებოდა ისევ თავის საყვარელ საქმეს. ასეთ შრომაში გაატარა თაბუკაშვილმა დაბა ხარაგოულში თორმეტი წელიწადი მეტი და როდესაც აქაური საქმეები მოაწესრიგა მოღვაწეობა თავის აღმზრდელ ხონის სემინარიაში გადაიტანა, სადაც ის მოსამზადებელი კლასის და ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა.

ხონის სემინარიაში მისი მოღვაწეობა ქართველ საზოგადოებას კარგათ მოეხსენება და მე ამის შესახებ არაფერს არ ვიტყვი

ერთ ხანს უადგილოთაც დატოვეს და ბოლოს როგორც იყო განჯაში დანიშნეს მასწავლებლად.

ეხლა კი მადლიერმა ხარაგაულის საზოგადოებამ თავის საყვარელი ტრიფონი სიბერის ჟამს ხარავაულის უმაღლესი ირველდაწყებით სასწავლებლის ხელმძღვანელად გამოითხოვა, მთავარობა პირველად უარზე იდგა, არ ვიცით კი რისთვის, მაგრამ ბოლოს ხალხის დაჟინებულმა თხოვნა-მუდარამ გასჭრა და იგი ხარაგოულში იქმნა გადმოყვანილი. ხალხის ასეთი შეგნება და დაფასება დამსახურებულ მასწავლებელს ძალზე გამხნევებს. იგიც გაამართლებს საზოგადოების ნდობა სიყვარულს. ეს მაგალითი ნათლად ადასტურებს ხალხისავე თქმულებას „მოხუცი იმას მოიმკის რაც სიყრმით დაუთესია“. მაშ, ასე, ახალგაზდა მასწავლებლებო, ნუ შეუშინდებით თქვენ მძიმე უღელს.

მ. ფარცხნაძელი. —

# ცივა, ბნელა...

ცივა, ბნელა მაშვრალთ ქოხში, დღის ნათელი შიგ ვერ სწვდება,
ბოროტ სულთა ცეცხლის ალით ხალხის კერა იფერფლება.
ქარი დაძრწის, მსოფლიო თრთის, თითქო დანთქმას გვექადება,
ზეცა დრტვინავს და მიწას იგი წარღვნით ემუქრება.

იმ სარკმელთან, სადაც წინეთ მზის სხივები თამაშობდა,
სადაც მთვარის ნაზი შუქი სულს ალხენდა, გულს ართობდა,
დღეს იქ სისხლის რუ დამდგარა, უსამართლოდ დვნალვარი,
სიმართლის ხმა გულში კვდება მისი მთქმელი არსად არი.

ჰა სრულდება მტარვალთ ნება და იმარჯვებს ავი სული,
მაგრამ თუ რომ მომავალში კვლავ ფრთას გაშლის სიყვარული,
თუ რომ ნოეს მახარობლად დაუბრუნდა ისევ მტრედი,
დეე ქვეყნის მოღალატემ მოიხაროს ჩვენს წინ ქედი.

ჰასიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება.

დიდი ხნის სურვილი ქართველ საზოგადოებისა შეუსრულდა და დაარსდა „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება“. დამფუძნებელი კრება ამ ახალი საზოგადოების მოხდა კვირას, 30 ღვინობისთვეს. საღამოს 8 წუთზე თავადაზნაურთა საკრებულოს დარბაზში თავი მოიყარა საზოგადოების 53 წევრმა და კრება გახსნა დროებით აღმასრულებელ ბიუროს თავჯდომარემ ექ. ს. ს. ვირსალაძემ, რომელმაც მოკლე და გრძნობით აღსავსე სიტყვით მიულოცა დამსწრეთ ახალი საზოგადოების დაარსება. შემდეგ ბ ნმა ვირსალაძემ წინადადება მისცა საზოგადოებას კრების თავჯდომარედ აერჩიათ უხუცესი ექიმი გ. მაღალაშვილი ხოლო მდივნად ექიმი ივ. გომართელი. მაგრამ ორივემ უარი განაცხადეს და თავის მხრივ სთხოვეს ბ-ნ ვირსალაძეს თავჯდომარეობა, ხოლო აღმასრულებელ ბიუროს წევრს ექიმ ნ. ჯავახიშვილს მდივნობა. ორმავე თანხმობა განაცხადა.

ექ. ს. ვირსალაძემ დაიკავა თავმჯდომამარის ადგილი და საპროგრამო სიტყვის წარმოსათქმელად მიიწვია ექ ვ. დ. ღამბაშიძე.

ვ. ღამბაშიძემ თავის სიტყვაში პირველად აღნიშნა ისტორია საზოგადოების დაარსებისა და შემდეგ აღნუსხა საზოგადოების მიზანი და დანიშნულება. ორატორი ხანგრძლივი ტაშის ცემით იქმნა დაჯილდოებული. მეორე სიტყვა წარმოსთქვა სამეცნიერო რეფერატის ხასიათისა ექ. ი. ს ელიაშვილმა შემდეგი სათაურით: „სიკვდილი და სიცოცხლე ისტორიულისა და ბუნებრივის თვალსაზრისით“.

შემდეგ კრება შეუდგა თანამდებობის პირთა არჩევნებს. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ მქმნა ექ. გ. მაღალაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად—ექ. ივ. ელიაშვილი, ხოლო გამგეობის წევრებად—ვ. ღამბაშიძე, პ, კიკალიშვილი, ნ. მელქიშვილი, ა. ჯავახიშვილი და ნ. ჩიგოგიძე. რადგან უკვე ნაშუაღამევის 1 საათი გახდა და გვიანი იყო, სარევიზიო კომისიისა და კანდიდატების არჩევნები შემდეგისათვის გადაიდვა.

ექ დიმ. ჯავახიშვილის წინადადებით კრებამ მადლობა გამოუცხადა აღმასრულებელ ბიუროს წევრებს, განსაკუთრებით კი ბიუროს თავმჯდომარეს სპ. ვირსალაძეს, ენერგიულ შრომისათვის საზოგადოების დასაარსებლად. „საქ“

# ლიუტერის სწავლა საქართველოში.

ორიოდე ცნობა, სულ მოკლეთ, 1896 წელს ერთს წიგნში დავბეჭდე აქ კი დავსძენთ, რომ კათოლიკის მისიონერები მზე-ჭაბუკის საქციელს კრიტიკის თვალით უმზერენ და წუნს სდებენ მათ, თუმცა არ აძაგებენ კი, ყველგან მას ახსენებენ, როგორც გონიერ კაცს, სიმართლის მოყვარე მთავარს და ღვთის მოყვარეს.

„ქართლის ცხოვრების“ თქმით, მზე-ჭაბუკმა კაი კაცობის საშუალებით სახელიც მოიგო, ხალხმა მას „მზე-ჭაბუკ დიდი უწოდა. ქართველ ერს გარდა, ამას ოსმალ-სპარსნიც კარგად იცნობდნენ და და პატივს სცემდენ, როგორც ჭკვიანსა სპარსულ-ოსმალურ ენებისა და წერა-კითხვის მცოდნეს.

სტამბოლში ცხოვრების დროს, ოსმალთა მუქარებით და დავალებით ისლამიც იწამა, მხოლოდ იმ დროს, როცა ოსმალოს მთავრობამ მას პირობა მისცა, რომ თუ შენ ისლამს იწამებ, მის შემდეგ შენს ქვეყანას უბედურება თავიდამ ასცდებაო.

სტამბოლში ცხოვრების დროს მზე-ჭაბუკი მარტო ისლამის მიღებით არ დაკმაყოფილდა იგი კარგად გაეცნო სტამბოლში მყოფ კათოლიკისა და ლიუტერის სჯულის მისიონერებს, დაუახლოვდა მათ და ბოლოს, საქმე ისე მოეწყო, რომ ლიუტერის სარწმუნოებაც კი მიიღო. ეს იყო პირველი მაგალითი ქართველის კაცისაგან, ლიუტერის სჯულის მიღებისა.

სტამბოლში ყოფნის დროს, ლიუტერის სჯულის მისიონერებთან თითქმის ყოველ დღე დადიოდა, ოსმალურის ენით მათ საუბარს უმართავდა და მასთან ევროპიული პასტორ მისიონერები ქართულ ენასაც სწავლობდენ, მოკლე დროის განმავლობაში, მისიონერ პასტორებმა თურმე ქართულ ენას გარდა, თვით ქართული წერა-კითხვაც შეისწავლეს.

საქმე ისე მოეწყო, რომ საქართველოში წამოსვლის დროს, ლიუტერის სჯულის მისიონერ პასტორებიც თან წამოიყვანა, რომელთა მხოლოდ ერთის სახელი ვიცით, დანარჩენ მისიონერთ ისტორია არ ასახელებს. მზე-ჭაბუკმა სტამბოლში ლიუტერის სჯული აღიარა საიდუმლოთ, საქართველოში ყოფნის დროს კი, აშკარათ მუსულმანობას აღიარებდა და საიდუმლოთ კი ლიუტერის სწავლას.

მისიონერებს ათაბაგმა საცხოვრებელ ბინად ახალციხე დაუნიშნა, რადგანაც თვით იქ სცხოვრობდა და მასთან ულუფაც დაუნიშნა, ამის გარდა დიდს თანაგრძნობას უწევდა, რომ მათ ქართველებში ლიუტერის სწავლა გაევრცელებინათ, ამ დროს, ახალციხეში, ლიუტერის სჯულს დაუკავშირდა ათაბაგის მთელი ოჯახი და ამათის მიბაძვით სხვა ბევრმაც მიიღო ის სჯული.

მზე-ჭაბუკ დიდი მიტომ უფრო არის დასაფასებელი, რომ მას როცა ლიუტერის სწავლა გაუცვნია, მასში ქართველობის სამტრო არაფერი ძალა არ დაუნახავს, მას იგი უცვნია სახარების მშვიდობიან სწავლათ და სწორედ იმიტომაც დაკავშირებია ამ სწავლას. ისიც კი უნდა მოვიხსენოთ, რომ ათაბაგი ლიუტერის სწავლის გარეშე, კათოლიკის სარწმუნოებასაც დიდის პატივით ეპყრობოდა და ამ სჯულის მისიონერებსაც დიდს დახმარებას უწევდა.

ათაბაგი კათოლიკებსაც მიტომ სცემდა პატივს, რომ მასში ქართველ გვარის სამტროს არაფერს ხედავდა, მით უმეტეს რომ სომეხ-კათოლიკენი ჯერედ ქართველებზედ არ იყვნენ ისე გაბატონებულნი როგორც ეს შემდეგ მოხდა, (XVII საუკ.) როცა მხითარისტების ძმობა დაარსდა ვენეციას.

მისიონერთა სიტყვით, ათაბაგი თუმც ლიუტერის სწავლას დაუკავშირდა, დ კათოლიკის მისიონერებისაგან შორს გადგ მაგრამ მათ მაინც პატივს სცემდა და დ ხმარებასაც აძლევდა თურმე და კათოლი კის სჯულის ვრცელებაშიც არ ეწინაა

---

წყალხსნილები—ძლიერი სიმჟავეები არიან. მათი შეერთებანი ლითონებთან წარმოშობენ მარილებს, მაგალითად, (ფტორის ნატრი (Na F), ქლორის მარილი (Nachl), ბრომის ნატრი (Natr), იოდის ნატრი (Nai), ფტორის კალცი (Ca $F_2$) ქლორის კალცი Ca($chl_2$), ბრომის კალცი Ca($br_2$), იოდის კალცი და სხ.

აღსანიშნავია, რომ ფტორის წყალდედის (HF) წყალხსნილი უფრო მაგარი სიმჟავეა, ვიდრე ქლორის წყალდედის (Hchl) წყალხსნილი, და უკანასკნელი უფრო მაგარია, ვიდრე ბრომის წყალდედის წყალხსნილი, ეს უკანასკნელი კი უფრო მაგარია, ვიდრე იოდის (Hi) წყალდედის წყალხსნილი. ერთი სიტყვით, ხსენებულ სიმჟავეთა სიმაგრე კლებულობს ფტორის წყალდედის ხსნილიდან იოდის წყალდედის ხსნილამდის.

ამგვარსავე მოვლენას აღმოვაჩენთ, თუ განვიხილავთ გალოიდების წინ მდებარე მეტალოიდებს: ჟანგბადს, გოგირდს, სელენსა და ტელურს.

ჟანგბადა — ტიპიური მეტალოიდია. მისი შეერთება წყალთან ქმნის წყლის გადამჟავებას ($H_2O+O=H_2O_2$), რომელიც სიმჟავეს წარმოადგენს. ვერცერთი მეტალოიდი უჟანგბადოდ სიმჟავეს ვერ წარმოშობს. მაგალითად, გოგირდმა ჯერ ჟანგბადა უნდა შეიერთოს $SO_2$ ან $SO_3$ (ანგიდრიდები სიმჟავეთა)—და მერე შეუერთდეს წყალს, რომ წარმოშვას სიმჟავეები.

მეორე მხრით, გოგირდისაგან წარმოშობილი სიმჟავეები უფრო მაგარი სიმჟავეები არიან, ვიდრე სელენისა და ტელურისაგან წარმოშობილნი. სხვებრ ატომის ღირებულებათა და სხვადასხვა ქიმიური შეერთების მხრით ხსენებულ მეტალოიდებს შორის დიდი მსგავსებაა. იმავე დროს სელენსა და ტელურს ლითონის ზოგიერთი თვისება მოეპოებათ.

იგივე ითქმება სხვა ელემენტების შესახებაც, რომელნიც ერთმანეთის ქვეშ მდებარეობენ.

ჰელი (ატომის წონა=4), ნეონი (ატომის წონა 20, 2), არგონი (ატომის წონა 39, 9), კრიპტონი (ატომის წონა 82, 9), ქსენონი (ატომის წონა 130, 2) და ნიტონი, ანუ რადის ემანაცია, (ატომის წონა 222, 4) ხსენებული მწკრივების გარეშე არიან, რადგან მათი შეერთებანი სხვა ელემენტებთან ან არ ეგულებათ ან არ იციან. ამ სისტემის გარეშეა აგრეთვე ზოგიერთი იშვიათი ელემენტი, რომლისთვისაც სისტემაში შესაფერი ადგილი ვერ უნახავსთ.

რაც შეეხება წყალდედას, ის ლითონების სათავეშია მოქცეული: წყალდედა პირველი ლითონია, მაგრამ განსხვავდება სხვა ლითონებისაგან მით, რომ ყოველი ხსნილი, რომელშიაც წყალდედის თავისუფალი ატომია, სიმჟავეა.

ამგვარია ეგრეთწოდებული პერიოდული სისტემა, რომლის საშუალობითაც შეგვიძლია თვითეულ ელემენტს თავისი ადგილი მივუჩინოთ.

1871 წელს მენდელეევმა თავისი სისტემის მიხედვით წინასწარმეტყველა და გამოიცნო, რომ, რადგან პერიოდულ სისტემაში კალციასა და ტიტანის ატომებს შორის (მათი ატომების წონები=40 და 48) დიდი სიშორეა, უნდა აღმოჩენილიყო ისეთი ელემენტი, რომელსაც მათ შორის უნდა დაეჭირა ადგილი და რომლის ატომი სამღირებულებიანი უნდა ყოფილიყო. მეზობელი ელემენტების თვისებათა მეოხებით მან თითქმის სისწორით აღწერა ჯერ არაღმოჩენილი ელემენტის ქიმიური თვისებანი. და 1879 წ. ნილსონმა აღმოაჩინა ხსენებული ელემენტი და უწოდა სკანდი (ატომის წონა=44).

იმავე წერილში მენდელეევმა წინასწარმეტყველა და აღწერა თვისებანი ორი ელემენტისა, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ ცინკსა და თაგვისმარილს შორის. 1875 წ. ლეკოკ-დე-ბუაბოდრენმა აღმოაჩინა გალი 1886 წ. ვინკლერმა გერმანი, რომელთაც დაიჭირეს ხსენებული ადგილები.

ეს ფაქტი კი, ე. ი. წინასწარ გამოცნობა ელემენტებისა, მოასწავებს, ჯერ ერთი, პერიოდული სისტემისა და ატომურ-მოლეკულური თეორიის (ავოგადროს თეორიის) სიმართლესა და, მეორე მხრით, ელემენტების ნათესაობას, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მათ ძირითად, არსებით თვისებათა იგივობას.

მაშასადამე, არ არიან გაუვალი შუაზღუდენი ელემენტთა შორის, როგორც საზოგადოდ, არსად არაორგანიულ მოვლენათა შორის.

ვასილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

მდევნობდა, პატრებს ყველა ნაირ დახმარებას უწევდა. ლათინის პატრებიც მართალია მაშინ უმეტესათ ლათინურ ენას ხმარობდენ ეკლესიებში, მრევლთან საუბრის დროს კი ქართული ენა ჰქონდათ მიღებული, ეს გარემოება და ლათინური ენის ხმარება ათაბაგს სულ არ აშინებდა.

ლიუტერის სჯულის პასტორებმა ახალციხეში თავიანთ სჯულის მრევლი ქართველებში მალე იშოვნეს, ამათ გაჩენას მალე სამლოცველო სახლის აშენებაც მოჰყვა. ახალციხეში ააშენეს ამ სჯულის სწავლის სამლოცველო, სადაც ლიუტერის სჯულის მისიონერ პასტორები სახარებას და ამის სწავლას ქართულათ ასრულებდენ. ესეც პირველი მაგალითი იყო არა მარტო ახალციხეში, არამედ მთელ საქართველოში.

ახალციხეში მარტივათ შეიგნეს ეს სწავლა და ბევრისთვის თურმე მოსაწონიც იყო.

გარემოებამ ხელი არ შეუწყო, თორემ ლიუტერის სწავლა ქართველებში მალე მოიკიდებდა ფეხს და ადვილათაც გავრცელდებოდა მთელ საქართველოში. ვერ მოხდა ეს მხოლოდ იმისა გამო, რომ ლიუტერის სჯულის მისიონერები საქართველოს და მის ერს ვერ იცნობდენ კარგათ და მასთან ქართული ენაც არ ჰქონდათ კარგათ შესწავლილი.

სამწუხაროთ, ამ სარწმუნოების საქმენი საქართველოში ისე მოეწყო, ისე შეიზღუდა მისი არსებობის პირობები, რომ ჩვენ ნამდვილი ისტორიული ცნობებიც კი არ მოგვეპოება.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება.)

## პროვინციის ცხოვრება.

**დ. ჩხარი.** (შ. მ.) როგორც იქმნა, ედირსა ხალხი კოოპერატივს, მაგრამ რა? როგორც ამბობენ ვერ მიდის საქმე კარგათ ჯერჯერობით.

,,ვისაც პირველობა უნდოდა, დღეს უკანასკნელი შეიქნა (კოოპერატივის საქმეში) და ამიტომ ერთსულოვნება, ერთგულობა—რომ უნდა ისეთი არსად არისო... არც წევრთა რაოდენობა ვიცით, მითხრა ერთმა პირმა, რომელსაც არა მცირედათ ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში...

საღამო იყო—ხუთი საათი თუ იქნებოდა. გავიარე კოოპერატივის წინ, დაკეტილი იყო, გამიკვირდა! ორი საათის შემდეგ ისევ მივედი; კიდევ დაკეტილი იყო. გამიკვირდა, ვკითხე იქვე ვაჭარს (სომეხს) მიზეზი რა არისთქო.

მითხრა: ეს დუქანი ჩემია მე აქ გათენებამდე მოვდივარ და ერთწუთსაც არ ვშორდებოდი.—მიტომ, რომ ეს ჩემი საკუთრებაა.—იქ კი სასოფლო საქმეა! ვინ დაეძებს? რას ნაღვლობს დაქირავებული პკაცი?! უნდა ადრე გაადებს, უნდა გვიან. ჯამაგირს კი სრულათ მიითვლისო. მეორე დღეს ვიყავი კიდევ ჩხარში, დილით. კიდევ დაკეტილი იყო.

საკვირველია ღმერთმანი! და არ შემიძლია არ ვუსაყვედურო გამგეობას...

ბატონებო! ნუ გაამართლებთ იმ ვაჭრის სიტყვებს!! მეტი ერთგულობა და მუყაითობა...

შინა კაცი.

—

**სოფ. მუხურა** (ქუთ, მაზრა). 1913 წ. გაიხსნა სამინისტრო შკოლა. ამ წლამდე სამრევლო შკოლები არსებობდენ რიცხვით სამი; ამ სამინისტრო შკოლისთვის შესწირეს დასახლოვებით 7 ქცევა ადგილი, სადაც უნდა აეგოთ სასკოლო შენობა.

1913 წელს დაქირავებული იქმნა იმავე ადგილთან შენობა და დაიწყეს პირველათ მეცადინეობა

მას შემდეგ, ამ მცირე ხნის განმავლობაში ოთხი მასწავლებელი ამ სკოლას, უნახავს მაგრამ პრაქტიკული ნაყოფი დღესაც არ სჩანს. პირველ სამოსწავლო წელს აქ დაინიშნა ახალგაზრდა ქალი ქეთევან აბესაძე. ეს იყო ადამიანი რომელსაც გაეგებოდა რა არის შკოლა და რას ნიშნავს მასში მასწავლებელი. ზედმიწევნით იცოდა სოფლების ზნე-ჩვეულებანი, მაგრამ სუსტი გამოდგა.

ორი თვის სამსახურის შემდეგ მან შკოლას თავი დაანება, რადგან ის აიძულეს.

შემდეგ დაინიშნა ბიქტორ ძიძიშვილი. ის იყო ნამდვილი საგნის მასწავლებელი შკოლაში და ზნეობის მასწავლებელი შკოლის გარეთ. სოფელმა არ იცის ისეთი მისგან ჩადენილი საქციელი რომელიც მჯავრს სდებდეს იქმას.

ძიძიშვილის კალთას მრავალ რიცხოვანი მოწაფეები ეფარებოდენ, მაგრამ შკოლამ თოდინი ვერ გაამართლა ორკლასიანათ, არ იქნა გადაკეთებული.

ბიქტორ ძიძიშვილს თან გაჰყვა ხალხის შეხედულება პატიოსან მასწავლებლებზე. მის შემდეგ $19^{15}/_{16}$ ს. წ. აქ ინიშნება ეს ვ. თუთბერიძე ეს არის ხანა სოფლის განხეთქილებისა. მან აქ ერთი წელი დაჰყო, ამ პატარა დროში დაარსა ჯგუფი რომელსაც თვითონ ბელადობდა დაარსა წრე რომელსაც თვითონ თავჯდომარეობდა. არ აკლდა შიგ არც მღვდელი, არც მამასახლისი და არც მისი თანაშემწე ამ წრემ მოინდომა კლასის სხვა ადგილას გადატანა, მაგრამ სასტიკათ დამარცხდენ.

თუთბერიძე ყველას პირდებოდა ვინც ცოტათი ასიამოვნებდა რომ შკოლას შენ ადგილში გადმოვიტან შიგ შენ მოსამსახურეთ დაგნიშნავ და ამით სამხედრო ბეგარიდგან გაგათავისუფლებო. მაგრამ ეს მან ვერ შესძლო. ბ. თუთბერიძე თავისი ჯგუფით სასტიკათ დამარცხდა.

თუთბერიძემ დასტოვა მასწავლებლობა, მისი ნამოქმედარი დიდხანს ემახსოვრება სოფელს. მისი ანგარიშებიდან სჩანს, რომლის წიგნი ამ ჟამათ შკოლაში. რაჟდენ აბესაძეს მოსამსახურეობის ფული 40 მ. იმავე შემის 8 მ. იმავე მასწავლებლის ოთახის ფული 15 მ. ეს სამივე სიყალბეა. რაჟდენ აბესაძე ფაქტიურად ექვსი თვე მოსამსახურეთ არ ყოფილა არამედ სხვა იყო რომელსაც ფული ჯერაც არ მიუღია. ბ. თუთბერიძეს შეშა არ უყიდია რ. ა—სგან. ბ. თუთბერიძე არ მდგარა რაჟდენ აბესაძესთან.

რომანოზ აბესაძეს, რომელსაც დაახლოვებით 150 მ. ერგებოდა მოსამსახურეობის და შკოლის შენობის ქირა ფული ჩუმათ გამოუწერია მას ხელი მოაწერია ქაღალდზე ვითომ ეს ფული მან მიიღო.

ეს ყველაფერი გვიან გაიგო დალუპულმა ადამიანმა, ამ ჟამად მის ადგილზე დაინიშნა ვ. კაკაურიძე

ვუსურვებთ რომ მან მაინც გამოაკეთოს მისი წინამოადგილის მიერ აწეწილი სკოლის საქმეები.

ბიკენტი აბესაძე.

## რუსეთი.

ოდესაში რუმინეთიდან მრავალი ლტოლვილი სომეხი მოსულა ესენი ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან. ბულგარეთში ცხოვრებდნენ და, როცა უკანასკნელი ოსმალეთს მიემხრო სომხები რუმინეთში გადმოსულან. ოდესაში სომხებს კარგად დახვედრიან და ბინაც აღმოუჩენიათ მათთვის.

—

თეოდოსიიდან იტყობინებიან, რომ სამხედრო ტანთსაცმელს სყიდვისთვის გენერალ გუბერნატორს ციმბირში რამდენიმე თერძი გადოუსახლებია.

—

პერმის ეპისკოპოსს ერთი ეკლესიის მედავითნის ცოლისათვის ნება დაურთავს დროებით მან ქმრის მოვალეობა შეასრულოს.

—

ამ რამდენიმე დღეში მოწვეულ იქნება მინისტრთა საბჭოს კრება შტიურმერის თავმჯდომარეობით. კრებაზე განხილული იქნება, თუ რა უნდა აკეთონ მინისტრებმა სათათბიროსა და საბჭოში როგორც ეტყობა უკანასკნელნი უეჭველად იქნებიან მოწვეულნი.

—

მოსკოვის სამ გაზეთს მათ შორის „რუსსლოვოსაც“ აუკრძალეს მოსკოვსა და პეტროგრადს შორის საკუთარი ტელეფონი იქონიონ.

—

ომის განმავლობაში მემარჯვენეთა გაზეთები, „ზემშჩინა“ და „რუსკოე ზნამია“ დრო და დრო ინგლისის საწინააღმდეგო წერილებს სტამბავდნენ; მთავრობამ რამდენჯერმე დასაჯა ხსენებულ ორგანოები, მაგრამ ისინი თავისას მაინც არ იშლიან, ამ ბოლო დროს კვლავ განაახლეს მათ ინგლისის წინააღმდეგ კამპანია.

—

ბაქოში ეხლა სუბუქი ღვინოების გაყიდვა თავისუფლად სწარმოებს თურმე.

—

ციმბირის გუბერნატორებს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის უცნობებიათ რომ ციმბირის გუბერნიები გადასახლებულებით გაივსო. ამის გამო პროტოპოპოვმა ბრძანება გასცა, რომ დამნაშავეებს ისე ადვილად არ უწყვეტდნენ გადასახლებას.

## უცხოეთი.

ამას წინად ხარბინიდან ხუნხუზების დასასჯელად მონგოლეთში რუსის რაზმი გაიგზავნა; როგორც ეხლა იტყობინებიან ამ რაზმისთვის სროლა აუტეხიათ ჩინეთის რეგულიარულ ჯარის კაცებს.

—

როგორც სტოკჰოლმიდან იტყობინებიან გერმანიის ყველა პარტია იმ აზრისაა, რომ მთავრობას ხალხის დაუკითხავად არ უნდა გამოეცხადებია პოლონეთის აქტი. განსაკუთრებით შფოთავენ კონსერვატორები. პარტიები ურჩევენ მთავრობას, რომ იგი გაუფრთხილდეს გერმანეთის პოლონეთს და ხელიდან არ გაუშვას იგი.

—

ინგლისში მექრთამეობის შესახებ გამოუციათ ახალი კანონი, რომლის ძალითაც როგორც ამღებთ ისე მიმცემთ ქრთამისას 3—7 წლით ციხეს უსჯიან.

—

რადგანაც საფრანგეთში ამ ჟამად დიდათ შემცირდა ნავთი, ამიტომ ბრძანება გაუციათ სანოვაგის სავაჭროებს გარდა ყველა დუქნები და მაღაზიები საღამოს 6 საათზე დახურონ.

## პ ა ს უ ხ ა თ.

**მეზობელს ბ—ნ ისიდორე კვიცარიძეს.**

შეიძლება მართლაც ისე გაუგებელი და ჩემი პირადის ინტერესების დამცველი გეგონოთ, როგორც პირადათაც და გაზეთითაც მიწოდეთ, მაგრამ არა. განა რაშიდ ნახეთ აქ ჩემი გაუმაძღრობა ანუ ეშმაკური ხერხი როგორც თქვენ ითხოვთ მეც მოვითხოვ, რათა გამოირკვეს ეს. თქვენ ამბობთ ვითომც მე უნდა დამემახინჯებიოს ფერმის ქუჩის თავი და გაბრიელის ქ. შესახვევი ჩემის მოხერხებით დამომეპაროს მე ორი არშინი მიწა. საიდან უნდა მომეპარა ეს მიწა რომელიც თხრილს იქით ქვითკირის გალავანი იყო, აგრეთვე ბ—ნო კვიცარიძევ ამბობთ თითქოს დაუკითხავათ ამეშენებიოს. ეს არაა მართალი. მე 8 ოქტომბერს შევიტანე თხოვნა, მინდოდა ის ნაშენი, რომელიც იყო შემოვლებული ჩემო ეზოზედ გამეუკეთესებია და იმ თხრილში რომელიც არის ჩემი ადგილის ნაპირას მიწა არ ჩაყრილიყო. შე ამის ნებართვა ავიღე და როგორც ჩემი ადგილის გეგმამ გვაჩვენა ისე დავიწყე შენება, ძველს სარძიკველზედ და ვაშენებდი რვა დღის განმავლობაში. რათ დაგჭირდათ იმის თქმა თითქოს მარტო ერთ პარასკევს დავასიე მუშები და ავაშენე ცხრა საჟ. სიგძის ქვითკირი რანაირათ შეუძლია სამს ოსტატს და ექვს მიწის მზრელებს ერთს დღეს ამდენი იმუშაოს. რათ მამცირებთ მე ასე და დაცინვის კილოთი ჯიბესქელს და გაუმაძღარს მეძახით ნუთუ მართლა მე ისეთი ინტერესები მაქვს რომ მარტო ჩემი საქმის გაუმჯობესებისათვის ქუჩებს დავაუშნოვებ მე რომ მართლა ჯიბე სქელი მქონდეს, თქვენ ვერ მასწავლით ჩემის მხრით ქუჩების სისუფთავეს და ქვაფენილის გაკეთებას პირადათაც მითხარით და გაზეთშიაც ამბობთ, რომ სახლები ვერ გამიქირავებია თქვენი წყალობითო განა ჩემი ბრალია ეს?

როცა ღმერთი თქვენი დაცინვის კილოს გამიმართლებს და ჯიბეს გავისქელებ აბა ნახეთ თუ ქვაფენილის ალაგს არ დავტოვებ და ქუჩასაც არ დავამშვენებ და ეხლა რათ უნდა დამეტოვებია ჩემი ოფლით ნაშოვნი ადგილი კამეჩებისა და ურმების გასაჩერებლათ, რომლებიც არა თუ ისე გადატოვებულს ადგილზედ არამედ ამ ქუჩაზედ დუქნებისა და სახლების წინ ქვაფენილებზედ გორავენ და ნაკელთა და ჩალებით აოხრებენ.

ეხლა მე მოგმართავ თქვენ ბ—ნო მეზობელო რომ ყოველივე ესენი რაიც არის მოხსენებული თქვენს მიერ გაზ. „სამშობლოს„ 472—№ში მე უნდა უეჭველათ დამიმტკიცოთ, სადაც გენებოთ და როდესაც გინდათ. მე ყოველთვის მზათავარ მხოლოთ გამტყუნებულმა მხარემ კიჯარიმათ გადავიხადოთ ისევ ამ ქუჩის გასამშვენებლათ რამდენსაც ჩვენი გამსამართლებლებლები ისურვებენ.

პატივისცემით თქვენგან დამცირებული მეზობელი მეთოდე სოლომონის ძე გორდეზიანი.

## ჩემი პასუხი.

**მღვ. იასონ აბესაძეს.**

(იხ. გაზ. „სამშობლო“ 1916 წ. 464)

თქვენ, მამაო იასონ, ჩვენ გვეკითხებით, თუ სად ვიყავით ომამდის, ე. ი. მშვიდობიანობის დროს, რომ თქვენსავით არ ვცდილვართ საკურთხ-ალაპ-ქელეხების მოსპობას ჩვენს სამრევლოში. ალბათ თქვენ ნაკლებათ ადევნებთ თვალ-ყურს ქართულ-ჟურნალ-გაზეთებს და სწორეთ იმითი მოგდისთ, რომ მე ამას მწამებთ!.. და თუ ეს ასე არ არის, გთხოვთ წაიკითხოთ ჩემი წერილები ამ მავნე ჩვეულებების შესახებ, მოთავსებული „სასოფლო გაზეთი“-ს 1913 წლის. (მაშინ ხომ ამ ომის ხსენებაც არ იყო?) მე-36 №-ში და აგრეთვე მდგომარე 1916 წლის „სამშობლო“-ს მე-302 №-ში ჩემი პასუხი „სოფლის მღვდლის შენიშვნის გამო“, და დარწმუნდებით, რომ ახალი ამერიკა არ აღმოგიჩენიათ. ამ საქმის თაობაზედვე ვრცელი მოხსენება მივართვი მათ მეუფებას ეპისკოპოსს ლეონიდს ამ 15 წლის წინათ, რაიცა დიდის ყურადღებით იქმნა მოსმენილი.

ამას გარდა, მ. იასონ, რომ კარგათ გამოგეკითხათ ქვემო იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდელოებისათვის, შეიტყობდით, რომ იქ კარგა ხანია, რაც ჩვეულებები დავიწყებას მიეცენ და ახლა მხოლოდ მოგონებადა შეიძლება მასზედ და იმედია იგივე მოხდება აქაც თავის დროზედ, რის ნიშნებსაც აქა-იქ უკვე ვხედავთ, ჩვენდა სასიამოვნოთ. გახსოვდესთ მ. იასონ, რომ სიტყვაზედ მეტი გასავალი დროს და გარემოებას აქვს.

მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

მღვდლის ი. აბესაძის წერილის გამო [illegible] გაზ. „სამშობლო“-ს [illegible] დევს:

წარსულ ზაფხულში ჩვენ სამი მღვდელი მე ი. აბესაძე და ი. ფანჩულიძე ერთ საღამოს ვიდექით დაბა ჩხარის ერთ ქუჩაზედ და ვსაუბრობდით.

საუბრის დროს მღ. ი. აბესაძემ უსაყვედურა მღ ი. ფანჩულიძეს, რომ ეს უკანასკნელი მის მრევლში საკურთხ-ალაპებს აკურთხებს ხოლმე და მით განხეთქილებას და უთანხმოებას აგდებს მრევლსა და მის შორის. მღ. ი. ფანჩულიძემ პატიოსანი სიტყვა მისცა რომ ამისთანა მოქმედებას იგი აღარ გაიმეორებდა. ამაზედ მღ. ი. აბესაძემ შენიშნა, რომ მისი პატიოსანი სიტყვა მას აღარა სწამს, რადგან ამგვარ სიტყვას იგი მეორეთ იძლევა და სისრულეში კი აღარ მოყავს.

მაშინ მღ. ფანჩულიძემ მღ. ი. აბესაძეს უპასუხა შემდეგი: „დაყენებულს გატეხილი სჯობია და როგორც დემოკრატი უარს აწიდაც ვერ ვეტყვი მსურველთ“ ამაზედ მღ. ი. აბესაძემ შენიშნა, რომ ეგრეთი მოქმედება დემოკრატიული კი არა, ხულიგანური იქნებაო“.

ამ საუბრის დროს ჩვენთან სხვა არავინ ყოფილა და ქუჩაც ცარიელი იყო.

პატივისცემით მღ. ა. კაპანაძე...

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**

დოქტორი მედიცინისა

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე.

გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.

**НОВОЕ ПРИБЫЛЬНОЕ ДѢЛО**

ВНИМАНІЮ ЛИЦЪ,

**ищущихъ побочнаго заработка**

**ПОВСЮДУ НУЖНЫ**

**лица обоегопола**

для переписки адресовъ торговымъ фирмамъ по 3 р за 100 шт. РАБОТА ПОСТОЯННАЯ Обычныя занятія и разстояніе не препятствуютъ, т. к. это дѣло требуетъ въ день ½ часа времени, и даетъ до 100 р и болѣе въ мѣсяцъ побочнаго заработка. Условія высылаются по полученіи 20 коп. почтовими марками на отвѣтъ. Обращаться письм по адресу: Борисоглѣбскъ, Там. губ. Почтовая №77, А. И. Иванову.

5—



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — სალამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 „ |

**აბი სენი.**

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი**. ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გემსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)